სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20"----------11----------" *2013 წელი*

ეგზ. № 2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2012 წლებში
განხორციელებული სოციალური პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №56/00

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი 3

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

მოკლე მიმოხილვა 4

პირობითი მოსაზრების საფუძვლები 7

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ 9

სტატისტიკური აღწერა 10

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო დახმარება 10
- უმწეოთა სასადილოს დაფინანსება 11
- შეჭირვებილი ოჯახებისათვის ფულადი დახმარება 12
- ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მეპატრონეთათვის გაწეული დახმარება 13
- ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მეპატრონეთათვის დახმარება ხორციელდება სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა და მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმრიცხველი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე. 13
- მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება 15
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები დღეგრძელთა დახმარება 15
- სარიტუალო ხარჯები 16
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სადღესასწაულო დღეებში გასაწევი დახმარება 17
- ცერებრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ინვალიდი ბავშვების დახმარება 18

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 19

აუდიტის ჯგუფის წევრები 19

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2012 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანიბაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- *მართლზომიერი ხარჯვა* - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ

კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რაც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მოკლე მიმოხილვა

სოციალური დახმარებების სახით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2012 წლებში გაცემულია - 1177.9 ათასი ლარი[1], მათ შორის - 169.8 ათასი ლარი გაცემულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ხოლო - 1008.1 ათასი ლარი გაცემულია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით..

დიაგრამა 1: გაცემული სოციალური დახმარებები

[1] 2010 წელი - 181.1 ათასი ლარი, 2011 წელი - 142.5 ათასი ლარი, 2012 წელი - 854.3 ათასი ლარი.



2010-2012 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით განხორციელებულია 14 სოციალური პროგრამა. ინფორმაცია დამტკიცებული პროგრამებისა და ათვისებული თანხების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ **2010 -2012** წლებში სოციალური პროგრამებით გაწეული ხარჯების შესახებ

N	პროგრამა	**2010** წელი		**2011** წელი		**2012** წელი	
		რამდენ პირზეა გაწეული	სულ გახარჯული თანხა	რამდენ პირზეა გაწეული	სულ გახარჯული თანხა	რამდენ პირზეა გაწეული	სულ გახარჯული თანხა
1	მრავალშვილიანი დედების დახმრება, მესამე[2] და მეოთხე შვილი-**500**, მეხუთე- და მეტი-**700**	18	11600	12	7200	82	28800
2	მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს დღეგრძელთა მატერიალური მხარდაჭერისათვის	4	800	3	1500	3	1500
3	სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება	13	3250	13	3250	18	4500
4	მუნიციპალიტეტში განსახლებული დევნილების სარიტუალო ხარჯებისათვის თანხის გამოყოფა	70	7000	71	7100	47	4700
5	უმწეოთა სასადილოს დაფინანსებისათვის	70	39977	70	42880	80	57700
6	წყალტ. მუნიციპ. ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სადღესასწაულო დღეებში გასაცემი თანხა	289	11 299	279	13298	501	36937
7	ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მეპატრონისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება	12	6000	5	2500	10	8000
8	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარება	163	101 194				
11	იძულებით გადაადგილებული სტუდენტების მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება	0	0				
12	მუნიც, ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლ. სამედიცინო დახმარება			230	63920	6581	418272
13	უჭირისუფლო გარდაცვლილთა სარიტუალო ხარჯები			3	803	1	400
14	ცერებრალური დამბლით დავადებულ **18** წლამდე იძულებით გადადგილებულ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება					8	4000
15	შეჭირვებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება					963	289470
	სულ	**639**	**181120**	**454**	**142451**	**8294**	**854279**

[2] მესამე შვილის შეძენაზე დახმარების გაცემა დაწყებულია 2012 წლიდან.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

- ❖ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით 2010-2012 წლებში სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხებიდან აუთვისებელია 74.0 ათასი ლარი[3]. აღნიშნული თანხის სწორად განაწილების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა იმ შეჭირვებული მოსახლეობის სრულად ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება რომლებსაც უარი ეთქვა დახმარებაზე კონკრეტულ პროგრამებში გათვალისწინებული თანხების ამოწურვის გამო, კერძოდ;
- უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარად რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ 2011 წელს - 10, ხოლო 2012 წელს 20 პირს იმ მიზეზით, რომ სასადილოს დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები საკმარისი იყო მხოლოდ არსებული ბენეფიციარების დასაკმაყოფილებლად. აღსანიშნავია, რომ ერთ ბენეფიციარზე დღიურად გაწეული დახმარება ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით 2010 წელს შეადგენს - 1.56 ლარს, 2011 წელს - 1.67 ლარს, ხოლო 2012 წელს - 1.97 ლარი.
- 2012 წელს შეჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამიდან, თანხის ამოწურვის გამო უარი ეთქვა - 56 პირს.
- ❖ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხებით 2010-2012 წლებში დახმარება გაეწიათ მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფებს (მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, ჩერნობილის კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციაზე მონაწილე პირებს, უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარებს, სოციალურად დაუცველ ბავშვებს, დედ-მამით ობოლ ბავშვებს

[3] 2010 წელი - 23880 ლარი, 2011 წელი - 34249 ლარი, 2012 წელი - 15821 ლარი.

და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ დახმარება გასაწევი ჯგუფების შერჩევის წესი მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის, ხოლო ჯგუფების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. შერჩევის წესის არარსებობის გამო არსებობს რისკი, რომ ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდეს სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე.

- 2010-2012 წლებში დამტკიცებული 14 პროგრამიდან 7-ში, კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება; მუნიციპალიტეტში მცხოვრები დღეგრძელთა დახმარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სადღესასწაულო დღეებში გასაწევი დახმარება; ცერემბრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ინვალიდი ბავშვების დახმარება; სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯები; გარდაცვლილი დევნილების სარიუალო ხარჯები; უწირისუფლო გარდაცვლილთა სარიტუალო ხარჯები; მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული ბენეფიციართა მხრიდან დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის შემუშავებული თანხის გაცემის წესი.
- 2012 წელს სოციალურ დახმარებებზე გახარჯული თანხა 5-ჯერ აღემატება 2010 წელს გახარჯულს, ხოლო 2011 წელს გახარჯულს 6-ჯერ. დახმარება გაწეულ მოქალაქეთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენს - 639 პირს, 2011 წელს - 686 პირს, 2012 წელს - 8294 პირს, ანუ 2012 წელს სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 12-ჯერ აღემატება 2010 და 2011 წლებში დაფიქსირებულ ბენეფიციართა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს სოციალური დახმარებებით მოსარგებლეთა მკვეთრი ზრდა გამოწვეულია პროგრამებში განხორციელებული სხვადასხვა ცვლილებებით, კერძოდ;

- სამედიცინო დახმარების პროგრამით 2010-2012 წლებში მოქალაქეებს დახმარება გაეცემოდათ სამედიცინო-სტაციონალური მკურნალობისათვის,

ხოლო 2012 წელს აღნიშნულ პროგრამას დაემატა მედიკამენტების შესაძენად, ერთჯერადად 50 ლარიანი დახმარების გაწევა, რომლითაც ისარგებლა 6000-მა პირმა.

- შეჭირვებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგარამა დამტკიცდა 2012 წლის მაისში, ხოლო გამოყოფილი სახსრების გაცემა დასრულდა იმავე წლის სექტემბრში, ანუ დამტკიცებიდან 5 თვეში. სულ პროგრამით გახარჯულია 289.5 ათასი ლარი და დახმარება გაეწია 963 ბენეფიციარს.
- მრავალშვილიანი დედების დახმარების პროგრამა 2010-2011 წლებში ითვალისწინებდა დახმარების გაცემას მეოთხე შვილის გაჩენის შემთხვევაში, ხოლო 2012 წელს დახმარება გაიცემოდა მესამე შვილის შეძენიდან. აღნიშნული ცვლილებით ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 65 პირით.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2010-2012 წლების სოციალური პროგრამებით გაწეული ხარჯები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით განხორციელებულია „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტით“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მიხედვით.

სტატისტიკური აღწერა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებისათვის თანადაფინანსება გაიცემა, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების წესის განსაზღვრის წესის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, რომლის თანახმად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების (ოპერაციები, სტაციონალური მკურნალობა) თანადაფინანსება განისაზღვრება ფაქტიური ხარჯის არაუმეტეს 30%-ით 1500 ლარამდე, ხოლო 1500 ლარის ზევით - 500 ლარით. მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად, დაფინანსება განისაზღვრება ერთჯერადად, არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით. სამედიცინო მომსახურების ფაქტიური ხარჯი დგინდება სამკურნალო დაწესებულებების მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, ხოლო მედიკამენტების შესაძენად - ფარმაცევტული დაწესებულების მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, რომლებსაც პაციენტი წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას. კომისიის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თანხა ერიცხება შესაბამის დაწესებულებას.

2011 წელს „მოსახლეობის სამედინო დახმარების პროგრამით“ დახმარება გაეწია 230 ბენეფიციარს და გახარჯულია 63.9 ათასი ლარი.

2012 წელს სოციალური პროგრამების ხარჯებიდან 418.3 ათასი ლარი გაიხარჯა „მოსახლეობის სამედიცინო დახმარებაზე“, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია 6581 ბენეფიციარს. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო დახმარების პროგრამა დამტკიცებულ ბიუჯეტში შეადგენდა - 286.5 ათას ლარს, ხოლო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად თავდაპირველად დამტკიცებული თანხა გაიზარდა 68%-ით. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს „მოსახლეობის სამედიცინო

დახმარების“ პროგრამით გაცემული თანხა 6.5-ჯერ აღემატება 2011 წელს იგივე პროგრამით გაცემულ თანხაზე.

უმწეოთა სასადილოს დაფინანსება

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში (უფასო სასადილო), ბენეფიციართა მიღება ხდება, მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, რომლებსაც იხილავს, „უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა სიის გადამოწმების და მასში კორექტირების შეტანის მიზნით შექმნილი კომისია“. კომისიის გადაწყვეტილებით მიღებული სია მტკიცდება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

2010 წელბს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ „უმწეოთა სასადილოს დაფინანსებისათვის“ გახარჯულია 39.9 ათასი. გამოყოფილი თანხით წლის განმავლობაში, ყოველდღიური ერთჯერადი კვების სახით, დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 70 ბენეფიციარს. 2011 წელს უმწეოთა სასადილოს გამოეყო 42.8 ათასი ლარი და დახმარება გაეწია 70 ბენეფიციარს. ხოლო 2012 წელს „უმწეოთა სასადილოს დაფინანსებისათვის“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 57.7 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 80 ბენეფიციარს. „უმწეოთა სასადილოსათვის“ გამოყოფილი თანხებიდან, ერთ ბენეფიციარზე ა(ა)იპ-ს ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით, დღიურად შეადგენს 1.97 ლარს. ხოლო 2010-2011 წლებში ერთ ბენეფიციარზე დღურად გაწეული დახმარება ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით შეადგენს, შესაბამისად - 1.56 ლარი და 1.67 ლარი.

აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისში დამტკიცებული ბენეფიციართა რაოდენობა, მიუხედავად მსურველთა არსებობისა არ იცვლება. ხოლო არსებული მსურველები ა(ა)იპ-ის და მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მიერ ირიცხებიან ბენეფიციართა რეზერვში, რის შემდეგ მათი დამატება ძირითად სიაში ხდება მოქმედი ბენეფიციარების კორექტირების (გათავისუფლებულ ადგილზე

ჩანაცვლებით) ან შემდეგ წელს, წლიური ბიუჯეტის დამტკიცებისას, ა(ა)იპ „უფასო სასადილოსათვის“ დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში.

მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილი სახსრები გადაანაწილოს იმგვარად, რომ განსაკუთრებულად შეჭირვებულ მდომარეობაში მყოფ მოსახლეობას, კერძოდ, უფასო სასადილოს ბენეფიციართა რეზერვში მყოფ პირებს, დახმარება გაეწიოთ არა შემდეგ წელს, არამედ მიმდინარე წელს, მოთხოვნიდან მოკლე პერიოდში.

შეჭირვებილი ოჯახებისათვის ფულადი დახმარება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება ხორციელდება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებილი ოჯახებისათვის ფულადი დახმარების გაწევის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს გამგებლის რწმუნებულის შუამდგომლობა და საკრებულოს სოციალური საკითხების კომისიის გადაწყვეტილება.

„მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება“ წლიურ დაზუსტებულ ბიუჯეტში შეადგენდა - 290.2 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა 2011 წელს არ იყო გათვალისწინებული, ხოლო 2012 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებულია მაისის თვეში განხორციელებული ცვლილების შედეგად და შეადგინა 150.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა დაზუსტდა ივლისის თვეში განხორციელებული ორი ცვლილებით, შესაბამისად 90.0 და 50.2 ათასი ლარით, რაც ათვისებული იქნა 2012 წლის მაის-სექტემბრის განმავლობაში, ანუ დამტკიცებიდან ხუთ თვეში. ერთჯერადი დახმარების პროგრამით დახმარება გაეწია 963 ბენეფიციარს, ხოლო 56 მოქალაქეს უარი ეთქვა თანხის ამოწურვის გამო.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა სიის შერჩევითი გადამოწმებით ექვს შემთხვევაში დახმარება გაცემულია ერთი ოჯახის ორ წევრზე.

ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მეპატრონეთათვის გაწეული დახმარება

ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მეპატრონეთათვის დახმარება ხორციელდება სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა და მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმრიცხველი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2010 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დახმარება გაიცემოდა ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის, ხოლო 2011-2012 წლებში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივი შეკეთებისათვის. აღნიშნული პროგრამებით მუნიციპალიტეტის მიერ, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, დახმარება გაეწია 27 ბენეფიციარს[4], საერთო თანხით - 16.5 ათასი ლარი. 2010-2011 წლებში პროგრამის ფარგლებში, დაზარალებულ მოქალაქეებზე ერთჯერადად გაიცემოდა - 500 ლარი, 2012 წელს - 800 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს დახმარება გაეწია ხუთ მოქალაქეს, მათ შორის ერთ შემთხვევაში დახმარება გაეცა მოქალაქეს, რომელსაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად დაეწვა პირუტყვის სადგომი. 2012 წელს დახმარების 10 შემთხვევიდან ორჯერ დახმარება გაცემულია მოქალაქეების ეზოში არსებული დამხმარე ნაგებობების ხანძრის შედეგად დაზიანებაზე (მათ შორის ერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილია კომისიური დასკვნა, მასზედ რომ დაზიანებული დამხმარე ნაგებობა ფაქტიურად წარმოადგენდა დაზარალებული მოქალაქის საცხოვრებელ ფართს). სამ შემთხვევაში კომისიური შესწავლისა და

[4] 2010 წელი - 12 ბენეფიციარი, 2011 წელი - 5 ბენეფიციარი, 2012 წელი - 10 ბენეფიციარი.

მიყენებული ზარალის აღრიცხვის გარეშე დახმარებები გაცემულია მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ხანძრის შედეგად ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში. ხოლო ერთ შემთხვევაში დახმარება გაეწია მოქალაქეს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ცნობის წარმოდგენის გარეშე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე[5], რომლის თანახმად დახმარების თანხა 800 ლარი უნდა გაცემულიყო მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან. პასუხისმგებელი პირის განმარტებით[6], აღნიშნული თანხა ნაცვლად სარეზერვო ფონდისა, შეცდომით გაცემულია სოციალური დახმარების მუხლიდან.

მიზანშეწონილია;

- მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ შეაფასოს და მიიღოს გადაწყვეტილება, დახმარებისათვის დაწესებული თანხის ფარგლებში, გასაცემი თანხის მიყენებულ ზარალთან პროპორციულად გადანაწილებაზე.
- მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა[7] სოციალური დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხები გასცენ პროგრამით განსაზღვრული მათხოვნათა სრული დაცვით.

[5] წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 27 დეკემბრის N735 ბრძანება.
[6] საფინანსო სამსახურის უფროსი ნ. ჯიმშელეიშვილი.
[7] მუნიციპალიტეტის საფინანსო და სოციალური საკითხთა სამსახურები.

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისების პროგრამა გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიან დედებზე დახმარების გაცემას ერთჯერადად, კერძოდ, მეოთხე შვილზე - 500 ლარი, მეხუთე და მეტი - 700 ლარი. ხოლო 2012 წლიდან ასევე გათვალისწინებულია დახმარების თანხის გაცემა მესამე შვილზე 500 ლარის ოდენობით.

2010-2012 წლებში აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 112 ბენეფიციარს საერთო თანხით - 47.6 ათასი ლარი, კერძოდ;

- 2010 წელი - 18 ბენეფიციარზე გაცემულია 11.6 ათასი ლარი
- 2011 წელი - 12 ბენეფიციარზე გაცემულია 7.2 ათასი ლარი
- 2012 წელი - 82 ბენეფიციარზე გაცემულია 28.8 ათასი ლარი

2012 წელს გაცემული დახმარებებისა და ბენეფიციარების ზრდა გამოწვეულია მესამე ბავშვზე დახმარების გაცემით, რაც წინა წლებში არ იყო გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული კონკრეტულად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის შემუშავებული თანხის გაცემის წესი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები დღეგრძელთა დახმარება

მუნიციპალიტეტში მცხოვრები დღეგრძელთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს 100 წელს გადაცილებული პირებისათვის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ოდენობა განსაზღვრული წლიური ბიუჯეტით.

პროგრამის ფარგლებში დახმარება გაცემულია:

2010 წელს - 4 პირზე, 800 ლარი.

2011 წელს - 3 პირზე, 1500 ლარი.

2012 წელს - 3 პირზე, 1500 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული კონკრეტულად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის შემუშავებული თანხის გაცემის წესი.

სარიტუალო ხარჯები

სარიტუალო ხარჯების გაცემა გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების, გარდაცვლილი დევნილების სარიუალო ხარჯების და უწირისუფლო გარდაცვლილთა სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება.

გასაწევი ხარჯების ოსენობა განსაზღვრულია წლიური ბიუჯეტით.

2010 - 2012 წლებში აღნიშნული პროგრამით დახმარებები გაცემულია;

2010 წელს - სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯები, გაცემულია 13 შემთხვავაში - 3.2 ათასი ლარი.

გარდაცვლილი დევნილების სარიუალო ხარჯები გაცემულია 70 შემთხვევაში - 7.0 ათასი ლარი.

2011 წელს - სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯები, გაცემულია 13 შემთხვავაში - 3.2 ათასი ლარი.

გარდაცვლილი დევნილების სარიუალო ხარჯები გაცემულია 71 შემთხვევაში - 7.1 ათასი ლარი.

უწირისუფლო გარდაცვლილთა სარიტუალო ხარჯები გაცემულია 3 შემთხვევაში - 803 ლარი.

2012 წელს - სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯები, გაცემულია 18 შემთხვავაში - 4.5 ათასი ლარი.

გარდაცვლილი დევნილების სარიუალო ხარჯები გაცემულია 47 შემთხვევაში - 4.9 ათასი ლარი.

უწირისუფლო გარდაცვლილთა სარიტუალო ხარჯები გაცემულია 1 შემთხვევაში - 400 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული კონკრეტულად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის შემუშავებული თანხის გაცემის წესი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სადღესასწაულო დღეებში გასაწევი დახმარება

სადღესასწაულო დღეებში დახმარების გაცემა ხდება მოსახლეობის სხვსდასხვა ჯგუფებზე, კერძოდ; მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ჩერნობილის კატასტროფის ლიკვიდაციაზე მომუშავე პირებზე, უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარებზე, 1-18 წლმდე ინვალიდ ბავშვებზე, სოციალურად დაუცველ და დედ-მამით ობოლ ბავშვებზე.

2010-2012 წლებში აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 1069 მოქალაქეს, საერთო თანხით 61,6 ათასი ლარი, კერძოდ:

2010 წელი - 289 პირზე გაიცა 11.3 ათასი ლარი.

2011 წელი - 279 პირზე გაიცა 13.3 ათასი ლარი.

2012 წელი - 501 პირზე გაცემულია 36.9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული კონკრეტულად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის შემუშავებული თანხის გაცემის წესი, ხოლო დასაწყისში არ არის განსაზღვრული რომელ ჯგუფს გაეცემა დახმარების თანხები, მათი შერჩევა ხდება მიმდინარე წლის განმავლობაში სოციალური სამსახურის შერჩევის საფუძველზე, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ცერებრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ინვალიდი ბავშვების დახმარება

აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დაავადებულ ბავშვებს. გასაცემი თანხის ოდენობა განსაძვრული წლიური ბიუჯეტით.

გამოვლენილი გარემოება

2012 წელს პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 8 ბავშვს, საერთო თანხით 4.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული კონკრეტულად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის შემუშავებული თანხის გაცემის წესი.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები

უფროსი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა ხელმოწერა _____ თარიღი 19.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე ხელმოწერა _____ თარიღი 19.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ზურაბ ტუსკაძე ხელმოწერა _____ თარიღი 19.11.2013